ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ოქმი№ 14

2022 წელი 6 ოქტომბერი

ქ. ბაღდათი

12:00 საათი

2022 წლის 6 ოქტომბერს შედგა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომა.

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ნოდარ გიორგიძე, გურამი კიკნაველიძე, ირინა ტყეშელაშვილი, მურად ბურჯანაძე, ბიძინა ჯაბიძე (საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილე), სიმონ ჭოლოკავა, გია სახამბერიძე, მაია კბილაშვილი, გვანცა გრძელიძე, ზაზა ზივზივაძე.

არ ესწრებოდა: ჯუმბერ რობაქიძე, თორნიკე გაჩეჩილაძე.

მუნიციპალიტეტის მერიიდან სხდომას ესწრებოდნენ:

ლერი გუმბერიძე- მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

საკრებულოს აპარატი:

ნოდარ ებანოიძე - საკრებულოს აპარატის უფროსი.

ირინე აბაიშვილი -საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურდიულ და გენდერული თანასწორობის საკითხებში.

ნათია ცისკაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა: ნოდარ გიორგიძე - საკრებულოს თავმჯდომარე, რომელმაც ბიუროს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგის საკითხი და აღნიშნა, რომ რიგგარეშე სხდომის მოწვევაზე შემოსულია მუნიციპალიტეტის მერის წინადადება..

დღის წესრიგი

1.„ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ," ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. ლერი გუმბერიძე - მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

მომხრე - 10 წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 10 ბიუროს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 1. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ," ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესატან ცვლილებასთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა: ლერი გუმბერიძემ - მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

აზრი გამოთქვეს:

ირინა ტყეშელაშვილი - მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, იგი დაინტერესდა კულტურის ცენტრის გათბობის დაფინანსების საკითხით.

თორნიკე გაჩეჩილაძე - **საკრებულოს ეკონომიკის პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების საკითხთა კომისიის დასკვნა ბიუროს წევრებს გააცნო, კომისიის თავმჯდომარემ,** როგორც მან აღნიშნა, როხის საბავშვო ბაღის მზაობის(სასკოლო ასაკის) ჯგუფისათვის აუცილებელია ერთი მასწავლებლის საშტატო ერთეულის დამატება.

ლ. გუმბერიძემ უპასუხა ბიუროს წევრების მიერ დასმულ საკითხებს.

საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო საკითხთა კომისიაზე საკითხი განხილვის შესახებ სხდომას მოახსენა: მურად ბურჯანაძემ.

ბიურომ გადაწყვიტა:

საკითხი შეტანილი იქნეს საკრებულოს 2022 წლის 7 ოქტომბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში.

გადაწყვეტილება მიღებულია:

მომხრე- 10 წინააღმდეგი-0

კენჭისყრაში მონაწილეობდა 10 ბიუროს წევრი

ბიურომ გადაწყვიტა:

საკრებულოს რიგგარეშე სხდომა, რომელიც გაიმართება 2022 წლის 7 ოქტომბერს 11:00 საათზე, სხდომის დღის წესრიგში შეტანილი იქნეს შემდეგი საკითხი:

1.„ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ," ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. ლერი გუმბერიძე - მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა

სხდომის თავმჯდომარე: ნოდარ გიორგიძე